საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

მერის ბრძანება

N 3671
08/08/2018

3671-02-4-201808081108

დემონტაჟის ნებართვის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე" პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის", 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 თებვერლის №19 დადგენილების, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 18 ივლისის №12/40494 წერილის, „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების, განაშენიანების რეგულირებისა და სამშენებლო სამართალდარღვევის" საკითხთა კომისიის 2018 წლის 31 ივლისის №53 ოქმის შესაბამისად და 2018 წლის 27 ივლისის სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის 25.07.2018 წლის შოთა ქარჩავას №11673/02 განცხადების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. შეთანხმებულ იქნეს და ნება დაერთოს ქ. ზუგდიდი, ქობალიას ქ. №12-ში, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ 1168.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (საკადასტრო კოდი №43/31/49/344) ნაკვეთზე სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობაში არსებულ 1168.00კვ.მ მიწის ნაკვეთზე აწარმოოს არსებული №02/1 და №03/1 შენობა-ნაგებობების დემონტაჟი.

2. ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:
ა) განაშენიანების ფართობი 38.3 კვ.მ

3. ნომენკლატურა:
ა) არსებული №02/1 და №03/1 შენობა-ნაგებობები
ბ) II კლასი
გ) დემონტაჟის ნებართვა
4. დემონტაჟის სამუშაოები განისაზღვროს 2018 წლის 07 აგვისტოდან 2018 წლის 07 დეკემბრამდე.
5. სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმის დაცვით და უზრუნველყოფილ იქნას მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული შენობების კონსტრუქციული მდგრადობა.

2100 ზუგდიდი. რუსთაველის ქ. 90, ტელ: (0415) 25 01 23, (0415) 22 21 03 ელ.ფოსტა:: zugdidismeria@gmail.com

6. სადემონტაჟო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
7. საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სადემონტაჟო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.
8. დემონტაჟზე კონტროლი დაევალოს ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურს.
9. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დემონტაჟის ნებართვის გაცემის შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 31 ივლისის №3526 ბრძანება.
10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
11. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი რევაზ ლაღიძის ქ. №12).

ლაშა გოგია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი

შემოსული
№ 8647 09.08.18